საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№87 (6313) შაბათი, 21 ივლისი 1990 წელი ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ ნომერში გთავაზობთ:

* მოთმინებასაც ზღვარი აქვს
მე-2, მე-3 გვ.
* სკკპ XXVIII ყრილობის რეზოლუცია სკკპ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ
1-ლი; მე-2 გვ.
* ლაჯანაში 100 გავზვი ისვენებს
მე-3, მე-4 გვ.
* შორეულ საფლავს პირისუფალი გაუჩნდა...
მე-4 გვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის

რეზოლუცია

სკკპ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ

პარტიულმა ბეჭდვითმა სიტყვამ დიდი როლი შეასრულა განახლების, დემოკრატიზაციის, საჯაროობის, როგორც ჩვენი ცხოვრების ნორმის დამკვიდრების პროცესების განვითარებაში. ჟურნალისტები გამოდიოდნენ დიდმნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფო გადაწყვეტილებების, მთელი რიგი კანონების მიღების, საარსებო მნიშვნელობის მქონე მთავრობის პროგრამების შემუშავების ინიციატორებად.

მაგრამ პარტიული ბეჭდვითი სიტყვის გარდაქმნის ტემპი და სიღრმე მთლად როდი შეესაბამება საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს, ჩამორჩება მოვლენებს, ჰკარგავს მებრძოლურობას, ხოლო ზოგჯერ პრინციპულობასაც სოციალიზმისა და გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალების გამოცოცხლების პირობებში.

ზოგიერთი პარტიული გამოცემა ცენტრში და ადგილებზე დაბნეულობას იჩენს ახალი პრობლემებისა და სირთულეების შემოტევის წინაშე. პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების გვერდებს არცთუ იშვიათად უთმობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი უცხო შეხედულებათა პროპაგანდას, პუბლიკაციებს, რომლებიც გაუკუღმართებულად წარმოსახავენ საბჭოეთის ისტორიულ წარსულს, პარტიისა და ხალხის გმირულ ბრძოლას ჩვენი საშშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. არ სცემენ საკადრის პასუხს იმათ, ვინც ხელყოფს ხალხის სულიერ და ზნეობრივ ღირებულებებს, მის პატრიოტულსა და ინტერნაციონალურ ტრადიციებს, საბჭოთა არმიის, სამართალდამცველი ორგანოების პატივისცემას.

ყოველივე ეს ავიწროვებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესაძლებლობას განმარტავდეს და ახორციელებდეს თავის პოლიტიკას. სუსტდება პარტიული ბეჭდვითი სიტყვის როგორც განახლების, პარტიისა და საზოგადოების კონსოლიდაციის კოლექტიური ორგანიზატორის როლი. ამ მოვლენას ჯერ არ მიუღია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების, პარტიის ცენტრალური გამოცემების ადეკვატური შეფასება.

1. ყრილობას მიაჩნია, რომ მრავალპარტიულობის შექმნის პირობებში კომუნისტურ პარტიას ესაჭიროება ისეთი ბეჭდვითი სიტყვა, რომელსაც უნარი შესწევს:

— იცავდეს სოციალიზმის იდეალებსა და ღირებულებებს, გარდაქმნის მიზნებსა და ამოცანებს, საბჭოების სრულხელისუფლებიანობას, საზოგადოების დემოკრატიზაციას სოციალისტური არჩევანის საფუძველზე, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას;

— ობიექტურად გამოხატავდეს გარდაქმნის პროცესებს, საზოგადოებრივი განვითარების ნოვატორულ იდეებს, წინააღუდგეს ყოველგვარ პარაზიტობასა და ჯგუფურ ეგოიზმს;

— ხელს უწყობდეს გარდაქმნას, პარტიული ცხოვრების თანამიმდევრულ დემოკრატიზაციას, ასახავდეს თავის ფურცლებზე სკკპ სხვადასხვა მიმდინარეობებს, მათ შორის უმცირესობის პოზიციებს, საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისადმი მიდგომათა მრავალფეროვნებას, ამავე დროს სერიოზულად აანალიზებდეს ამ მიმდინარეობებისა და მიდგომების არსს;

—პრინციპულად და მწვავედ ილაშქრებდეს საზოგადოებაში, სახელმწიფოში და განსაკუთრებით პარტიაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, იბრძოდეს კომუნისტთა ხელობრივი სიწმიდისათვის;

—იცავდეს პარტიის იდეურსა და ორგანიზაციულ ერთიანობას, გადაჭრით ილაშქრებდეს მისი გათიშვის ზრახვების წინააღმდეგ, შეუწყნარებლად მიიჩნევდეს ზოგიერთი იმ ჟურნალისტის ცდებს, პარტიელებად რომ მოაქვთ თავი, — გადააქციონ პარტიული გამოცემები როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან სკკპ მოპირისპირე ძალების იარაღად.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

20 ტონა აბრეშუმის პარკისათვის

შრომის სიკეთე

მეაბრეშუმეთა შრომა დასასრულს უახლოვდება. ბევრი მათგანი ადრინდელი ჩვეული ენერგიით იბრძვის რაიონში მეაბრეშუმეობის ძველი ტრადიციის აღორძინებისათვის.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ლაილაშელთა რძალი გულნარა კენჭაძე-ჩაჩხიანი.

წლის პირველი ბარაქიანი მოსავლის მიღებისათვის ადრიანად იზრუნა. თუთაც ბევრი გაახარა და ბინაც კარგი შეყრჩია. როცა ლასტებზე მოშრიალე ჭიების ტევა აღარ იყო, ქალიშვილებიც მოიხმარა, „დიდი კანიდან“ რომ ამოვიდნენ, მთელი ოჯახი ჩაერთო საქმეში. სადაც მონდომება და საქმის ერთგულებაა, იქ გამარჯვებაც გარდაუვალია. ამ დღეებში გულნარა ჩაჩხიანის ანგარიშზე ალპანის მიმღებ პუნქტში მიტანილია 102 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. ეს ერთი საქმე კი ჩაათავა, მაგრამ დანარჩენი, ვაზი, ყანა, საკუთარ პირუტყვს პლუს იჯარით გაპიროვნებული ორი სული პირუტყვი, ყველაფერს ხომ ხელი, ერთგული და გამრჯე მარჯვენა სჭირდება, რაშიც ქმარშვილიც აქტიურად მონაწილეობს: საქმეს და საზრუნავს რა დაულევს სამი შვილის დედას. ალექსანდრე ფუძის გამგრძელებელია და დაოჯახებულია. ჟენია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტია. იგი კარგი ქალობისათვის სოფელმა თავის რჩეულად აირჩია ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. ქეთინომ ტექნიკური განათლება მიიღო და ახლა დედას უდგას მხარში.

სოფელში ჯემალ ჩაჩხიანის ოჯახს პატიოსან, მშრომელ ოჯახად იცნობენ.

ბ. ბაქრაძე.

სკკპ XXVIII ყრილობის ექო

ახლა ბევრი რამ შეგვიძლია

დამოუკიდებლობის გზა ხსნილია—ამ სათაურით გამოქვეყნდა პრესაში გ. გუმბარიძის შეხვედრა თბილისის პარტიულ აქტივთან. რომელ ქართველს არ გაახარებს, რომ საქართველოს დელეგაციამ სკკპ 28-ე ყრილობაზე, მიუხედავად რთული წინააღმდეგობებისა, დაიცვა თავისი პოზიცია.

ყრილობაზე დემოკრატიული და კონსერვატორული აზრები ერთმანეთს შეეჯახა. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება პარტიის წესდების 22-ე მუხლის პირვანდელი რედაქციის გარშემო, რომელიც ჩვენმა დელეგაციამ შესთავაზა ყრილობას და დიდი ბრძოლის შედეგად საქართველოს მიერ შეთავაზებული ვარიანტი გავიდა. ამიტომ მიმაჩნია საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობამ სწორი გზა აირჩია, როცა მუშაობა ორ ეტაპად გაყო. დღეს კომპარტიების სრული დამოუკიდებლობა სახეზეა. ახლა ჯერი ჩვენზეა. რესპუბლიკური ყრილობის მეორე ეტაპზე გვმართებს ძალზე მოფიქრებული, ასჯერ აწონილ-დაწონილი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი. დღეს საქართველოს კომპარტიას არ აქვს ერის დამოუკიდებლობაზე უფრო დიდი საზრუნავი.

მაგრამ ამას სჭირდება დიდი გარჯა და თავდადება, გონივრული მოქმედება. პირველი ისაა, რომ რესპუბლიკის კომპარტიაში არის დემოკრატიული ძალები, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ, მეორე და მთავარი ის არის, რომ საქართველოში კომუნისტი და უპარტიო, ფორმალი თუ არაფორმალი, დღეს ერთ საქმეს უნდა ემსახურებოდნენ, დღეს ყველამ უნდა დაივიწყოს პირადი კეთილდღეობა და მიზანი, რაც, სამწუხაროდ, ასე არაა.

პირველ რიგში საჭიროა პირადი პასუხისმგებლობისა და თვითდისციპლინის განმტკიცება, შრომა და მხოლოდ შრომა, თუ ჩვენ თვითონ არ შევქმენით ჩვენი ეკონომიკის, კეთილდღეობის საფუძველი, არავის იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

რამდენიმე სიტყვით ისევ სკკპ ყრილობის შესახებ. არ მიმაჩნია სწორად, რომ კონსტიტუციის მე-6 მუხლი გაუქმდა, პრეზიდენტი კი გენერალურ მდივნად აირჩიეს. ეს პარტიის დიქტატის გაძლიერების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯია.

საერთოდ ყრილობაზე ბევრი რადიკალური, დემოკრატიული გადაწყვეტილება მიიღეს. მის მუშაობაში დისონანსი შეიტანა არა ერთი დელეგატის პროგრესულმა გამოსვლამ.

გ. ნემსწვერიძე.

სოფ. წიფერჩი.

ს ო ფ ე ლ ო ,

დუმილის ქამი გათავდა!

ლეშკედა-სპათაგორი

* *

ყველა ლეჩხუმელს გაუგია ეს ქეთილხმოვანი სახელები, მაგრამ შეიძლება ბევრს თვალითაც არ ენახოს ისინი. არადა აქვეა, ხელის ერთ გაწვდენაზე—ლაჯანის პირდაპირ, მდინარე ლაჯანურის მარჯვენა ნაპირის ფერდობებზე შეფენილი. ამ მხრივ მათი შედარება ნაკურალეშსა და მის მსგავს მაღალმთიან სოფლებთან არც შეიძლება, მაგრამ, აქაურთა აზრით, „ამდენი პრობლემა თუ რომელიმე სოფელს აქვს, არ გვგონია“ (ზუსტად ასე გვითხრეს ორივე სოფელში).

ჯერ შუადღეც არ მოწეულიყო, მაგრამ ზაფხულის მზე თავის საქმეს აკეთებდა. ლეშკედელები უკვე ბრუნდებოდნენ ყანიდან თუ სათიბიდან და ჩვენი შეხვედრაც ბუნებრივად მოხდა. სოფლის ორღობეში ჩამომსხდარნი დიდხანს გვიყვებოდნენ თავიანთი ჭირისა თუ ლხინის შესახებ, ზოგჯერ გაუბედავად, მაგრამ მაინც გვიზიარებდნენ გულში ნადებსა და განაზრახს.

ლეშკედაში სულ 30 კომლი ცხოვრობს, უმეტესად სილაგაძეები. მნახველს შეიძლება გაუკვირდეს, რომ ყველა სახლი შედარებით ახალი დადგმულია. საქმე ისაა, რომ 60-იანი წლების ბოლოდან სოფელმა თანდათან მოანაცვლა ადგილი, მთის გლეხს უდიდესმა მტერმა, მეწყერმა უწინდელ საცხოვრებელზე უარი ათქმევინა მთელ სოფელს და რამდენიმე კილომეტრით დაბლა ჩამოასახლა იგი. ზოგი კომლი 2-3-ჯერ აყრილა და დასახლებულა. წარმოსადგენადაც კი ძნელია, რად ღირს ჩვენებურ გლეხს ერთხელ იძულებითი აყრაც კი, ეს ტრაგედიაა. ვერ დატოვებს ლეშკედელებმა ძველი ნასოფლარი, მამა-პაპის დარგული ბაღი და ვენახი, ბავშვობაში უთვალავჯერ შემორბენილი მდელოები და ხევები, ვერ მიატოვეს უპატრონოდ იქაურობა და დადიან ყოველდღე თოხითა და ცელით არცთუ სახუმარო მანძილზე. უჭირთ, მართალია, მაგრამ არ ეთმობათ, ეზო-გარემოს ნაეზოვრად გადაქცევას ვერ ეგუებიან, ერჩივნათ კი, იქვე ახლოში დასახლებულიყვნენ, მაგრამ....

—უგზოობამ გვიქნა ყველაფერი ეს,-ნამდვილ მიზეზს გვიმხელს შოთა ნემსწვერიძე, ჭარმაგი, 60 წლამდე მიღწეული გლეხი,—გზა და კვალი გვქონოდა, აქ არ ჩამოვცვივდებოდით მთელი სოფელი, იქვე მოვნახავდით ადგილს. უგზოობას რომ მეწყერიანობა დაემატება, როგორი გასაძლებია მთაში? მაინც ვუძლებდი, ბოლო დღემდე არ მოვდიოდი. მერე, ყველა რომ წამოვიდა და მე ერთიღა შევრჩი იქაურობას, გავტყდი კაცი, მეც წამოვედი. ახლა შედარებით ახლოსა ვართ ბართან, მაგრამ მაინც ვერ ამოვისუნთქეთ...

ჰოდა, მიდის, ნელ-ნელა იცლება სოფელი, ერთი შეხედვით ეს თითქოს არ ჩანს, სულ ორიოდე კარგამოკეტილი კომლია ჯერ-ჯერობით, მაგრამ პროცესი აშკარაა და ცხადი. ახალგაზრდობა თითქმის აღარ არის სოფლად, ქალაქში სწავლობენ ან მუშაობენ. სულ ორი „მრავალშვილიანი“ ქალია—ნათელა სილაგაძეს და მზია ბურჯალიანს 3-3 შვილი ჰყავთ. ბოლო ქორწილი 1986 წელს გაიმართა სოფელში. ახლა აქ სკოლის ასაკის 10 ბავშვია, გაიხადე ალბათ ამდენიც არ იქნება. სულ თითებზე ჩამოგთვლის ბრიგადირი ამბერკი სილაგაძე ამ ბავშვების სახელებს. იმათ გვარ-სახელებსაც, 21-ნი რომ წავიდნენ. მეორე მსოფლიო ომის ცრონტებზე—და 14 რომ უგზოუკვალოდ დაიკარგა. არცაა გასაკვირი ამის შემდეგ სოფლის სიმცირე. ჩვენთვის რომ ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ნელ-ნელა ილევა, ქრება ქართული სოფელი და ამას ისე უწყობს ხელს სახელმწიფო პოლიტიკა, თითქოს ჩვენს დაქცევაზე უფრო დიდი საფიქრალი არ ჰქონდეს. საინტერესოა, მაგალითად, სანამდე გაუძლებს თენგიზ სილაგაძე ჰიშორია, მაგრამ... მომსახურებით უკმაყოფილონი არიან ლეშკედელები. ნაცნობი საწუხარი: შაქარი ცოტაა, საპონი არ გვყოფნის ბავშვის თეთრეულის სარეცხად, პურის ფქვილი ძვირია, მარილი ხშირად არ არის, იმპორტული საქონელი საერთოდ არ შემოაქვთ...

მედპუნქტს ვინ დაეძებს, ერთი ექთანი მაინც რომ ცხოვრობდეს სოფელში, თავს ბედნიერად ჩავთვლიდით, სამსახურის დამთავრების შემდეგ მაინც გვიშველიდაო. გაჭირვებისას სპათაგორში რეკავენ, მადლობა ღმერთს, აქ მაინც ცხოვრობს რამდენიმე ექთანი. საღამოს 6 საათამდე ასე თუ ისე გაიძლება, მერე კი სოფლის ოთხი ტელეფონი აღარავის არგია, რადგან ლაჯანის საფოსტო განყოფილება, როგორც მთელ ლეჩხუმში, 6 საათზე ამთავრებს მუშაობას, თითქოს საღამო ხანს აღარაფერი ხდებოდეს—არც ხანძარი, არც ტრაგიკული შემთხვევა, აღარც ადამიანებს სურდეთ ერთმანეთის მოკითხვა. ერთხელ მეზობლისას გაჩნდა ხანძარი, გვიამბობს ქალბატონი ეთერ სილაგაძე,—ვერავის გავაგებინეთ, კიდევ კარგი, ჩვენვე მოვახერხეთ ჩაქრობა. შარშანდლამდე კოდი მუშაობდა, აკრებდი 9-იანს და გახვიდოდი სადაც გსურდა. ახლა შტატიც შეამცირეს ფოსტაში და კოდიც აღარ მუშაობს, ვართ ასე, ჰაერში გამოკიდებულივით.

როცა სოფლის მომავალზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი თემა აიტაცა ყველამ და ჩვენ მივხვდით, მომავალს გლეხი მეურნეობის მოწყობის საკითხს უკავშირებს. კოლმეურნეობა თუ გლეხური მეურნეობა?—ეს არჩევანი უკვე ერთი წელია დადგა ლეჩხუმის სინამდვილეში. არა, პრაქტიკულად არჩევანის წინაშე არ დაუყენებიათ გლეხი. მას ურჩიეს, ასე ვოქვათ, არაფორმალებმა, უარი ეთქვა მთის სოფლის დამანგრეველ კოლექტიურ შრომაზე და დაბრუნებოდა ძველს. მისი წინაპრების მიერ ნაცადს და გამოცდილს. ამ დილს ოჯახის ინტერესებსა და სოფლის სიყვარულს შორის, ვინ აჯობებს ამ ბრძოლაში—ქალაქი, სადაც მუშაობს ამ ახალგაზრდა კაცის მეუღლე, თუ მამა-პაპის კერა, რომელსაც უნდა შეაჩვიოს შვილები. ცხოვრება ხომ თავისას ითხოვს, ითხოვს ელემენტარულ პირობებს არსებობისათვის, სიცოცხლისათვის აუცილებელს და კიდევ იმისათვის, რომ ადამიანმა არ დაკარგოს ადამიანის სახე. ლეშკედა კი...

—ერთი ხანგრძლივი კოკისპირული წვიმა და უგზო-უკვლოდ დარჩება სოფელი, გულისტკივილით ამბობენ ასაკოვანი ლეშკედელები, წაიღებს წყალი გაჭირვებით გაკეთებულ გზასა და ხიდს, ჩვენი ძალებით რომ ავაგეთ. პატრონი არ გვყავს, შვილო, პატრონი. შოთა ნემსწვერიძემ იგივე შეგვახსენა: ტურამ ცხვარს ბატკანი მოსტაცა, ის კიდევ მგელთან წავიდა საჩივლელადო. ჰოდა, გულუბრყვილო ცხვარი მგელმა შეახრამუნა. ასე ვართ ჩვენც. ვაღარ გაგვიგია, ვის შევჩივლოთ ჩვენი გასაჭირიო.

სოფელში არ არის მაღაზია, მედპუნქტი, კლუბი, ბიბლიოთეკა. მართალია, სპათაგორის მაღაზიამდე არც ისე უსაშველოდ შორია, მაგრამ ... ეს ... ბავშვებს, ... ეს ... ბავშვებს ... ...

ზღვარი აქვს

უშავებთ, მოხავალი კი სასუქის გარეშე არ მოდის.

—კი, ცოტას ვამეტებთ,—სიტყვა ჩამოართვა ამბერკი სილაგაძემ,—30-ის ნაცვლად 50 (?!) კილოგრამს; ვუშვებით 1000 მეტრზე.

საუბარს დიდხანს შევუდგით. ჩვენს ყითხვაზე, თუ რას აძლევს მათ კოლმეურნეობა, გლეხებმა პრაქტიკულად ვერაფერი გვიპასუხეს. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას იჯარით ჰყავს გაყვანილი საკოლმეურნეო პირუტყვი, მაგრამ წელს საერთოდ არ ჩაუბარებიათ ყველი და ხორცი. მიზეზი? ბრიგადირი გვიხსნის, რომ კოლმეურნეობა მოიჯარეებს არ ამარაგებს კომბინირებული საკვებით და ისინიც უარს ამბობენ შესაბამისი ვალდებულების შესრულებაზე.

აქაური ქალების, უმრავლესობა კარგი მეაბრეშუმეა, რაც თავი ახსოვთ სახელმწიფო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ (თ. გვიდიანი, ე. სილაგაძე, ლ. სილაგაძე და სხვა მრავალი) სახელმწიფო კი არ ასრულებს მიცემულ სიტყვას, დაპირება დაპირებად რჩება, აბრეშუმის პარკის შესასყიდი ფასი არა და არ იზრდება. ჰოდა, ქალებიც უკმაყოფილონი არიან: თუკი კარგი ხარასხის პარკში ბევრგან 20 მანეთს იძლევიან, ჩვენ რაღა დავაშავეთ. მთელი საცოცხლე კოლმეურნეობას შევწირეთ, ახლა თუ რაიმეს მოგვცემენ და დაგვაინტერესებენ, ხომ კარგი, თუ არადა...

✤ ✤

ნაშუადღევს დავტოვეთ ლეშკედა და სპათაგორში ჩამოვბრუნდით, სადაც სოფლის ბიბლიოთეკაში უკვე გველოდებოდა რამდენიმე ადამიანი—კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენცია. მათ მაელი სოფლის სატკივარი მოიტანეს ჩვენთან.

—სახელი ლაცორიამ წაგვართვა, მიწა-წყალი ლეშკედამ და უსახელომ, რიყე გვქონდა—ლაჯანურმა,—ამოგვიგო თენგიზ ლეშკაშელმა, როცა სოფლის პრობლემების დაკონკრეტება ვთხოვეთ. მანამდე თითქოს ჩვენც მარაქაში ვერიეთ. მერე კოლმეურნეობის დამსხვილება რომ დაიწყო, მოვიდნენ წითელი დროშით და მოგვიტანეს თავისი სახელი. ძნელი პერიოდი იყო, ხმის ამოღება არ შეიძლებოდა. გაგვაერთიანეს ლაცორიის კოლმეურნეობაში და დღემდე ვეღარც მოვიშორეთ ეს სახელი. სკოლაა და, მიუხედავად იმისა, ჩვენს ტერიტორიაზეა, ლაცორიის სკოლა ჰქვია, ჩვენი სოფლის მაღაზიაა და ჯერ კიდევ შემორჩენია ძველი აბრა სხვისი სახელით. აი, სახლ-მუზეუმის გახსნამ გვიშველა ცოტა, ისევ გამოჩნდა ჩვენი სოფლის სახელი.

—სახელს ვინღა დაეძებს, მიწა აღარ შეგვარჩინეს, სიტყვა ჩამოართვა სიპიტო სილაგაძემ,—ჩვენს მიწებზე ლეშკედელები დაასახლეს. სტიქიის წინაშე რას გავწყობთ, ვალდებულიც ვიყავით დამეწყრილი მეზობლები დაგვესახლებინა. მაგრამ უსახელოს რაღად მიაკუთვნეს ჩვენი კუთვნილი ტერიტორია? სადაც ოდესღაც ჩვენი მამაპაპა ხნავდა და თესავდა, ახლა უსახელოელების ნაკვეთებია, ჩვენ კი დავრჩით უმიწოდ. კომლის გაყოფის საშუალება აღარაა სოფელში, რომ დასასახლებელი ადგილი გამოეყოს. ესაა ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა.

ამ მხრივ მართლაც ძალზე გაჭირვებიათ სპათაგორელებს. სოფელი სწრაფად იცლება, მაგრამ უფრო სწრაფი ტემპით მარჩენალ მიწას კარგავენ აქაურები. 64 კომლიან სოფელს (15-მდე კომლი კარჩაკეტილია) აშკარად არ ყოფნის დღეს არსებული მიწის ფონდი. ლაჯანურს კი ახლაც მიაქვს „რიყე". ბოლო წლებში სულ გადაირია მდინარე, რისი მიზეზიც ლაჯანურჰესის კაშხალი უნდა იყოს. კალაპოტი ამოავსო ჩამონატანმა ნაშალმა, რამდენიმე წელში მდინარე დასახლებაში შევარდება, მთელ უბანს წალეკავს, თუ დროზე არ გაუჩნდა პატრონი. ნაპირსამაგრის მშენებლობა ხომ უსაშველოდ ჭიანურდება, მაგრამ პირიქითაც რომ იყოს, საქმეს მაინც არ შველის, კალაპოტი თანდათან ივსება. ახლა ინერტული მასალის გადამმუშავებელი ქარხნის პროექტზე მუშაობენ. ლაჯანურის ნატანი საუკეთესო მასალა ყოფილა ხრეშისა და ცემენტისათვის. ქარხანამ მთელი ნატანი მასა უნდა აითვისოსო. გაგიხარია, კარგია, მაგრამ ეს წლების საქმეა, ორიოდ წელიწადში კი ამ ხიდს წყალი წაიღებს. სხვა გამოსავალი არც ჩანს.

სავალალოა სოფლის დემოგრაფიული სურათი. მრავალშვილიანი ოჯახები რომ ვიკითხეთ, ერთი ძლივს გაიხსენეს—ეთერ ბაკურაძე, ოთხი შვილის დედა. დაგვაინტერესა. ძველ თაობაში თუ იყვნენ მრავალშვილიანები. აგერ ნუცამ 6 შვილი გაზარდა, გვიპასუხეს. ნურას უკაცრავად, ნუცა ახვლედიანი არ დაეთანხმა თანასოფლელებს, იუარა, სად მყავს შვილები, ერთი ბებერი ქმარი მყავს სახლშიო. თურმე ექვსივე დოჯახებულა, მშობლებთან კი არცერთი არ ცხოვრობს. ამიტომ იხუმრა მწარედ ქალბატონმა ნუცამ, არ მყავს შვილებიო. ბოლო ქორწილი? შარშან ყოფილა. თვითონ გახსოვთ. ლაცორიის არასრული საშუალო სკოლა 3 სოფლის ბაზაზე ფუნქციონირებს. მოსწავლე კი სულ 56 ჰყავს. არადა ერთდროს ამ სკოლაში პარალელური კლასებიც ყოფილა. მასწავლებელმა ნინა გიორგობიანმა სხვათაშორის ისიც აღნიშნა, სკოლას ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალისტები არა ყავსო.

ჩვენი მასპინძელი, ბიბლიოთეკის გამგე ვიოლეტა შეკიშვილი ორი ვაჟის დედაა: ბიჭი ჯარში მსახურობს, დაბრუნდება თუ არა, ქალაქში უნდა გავუშვა, სხვა გზა არა მაქვს. აქ არავითარ შემთხვევაში არ გავიჩერებ. სოფელში რით უნდა დასაქმდეს ახალგაზრდა კაცი? დაწესებულება მაინც იყოს რაიმე, იმუშავებდა...

ამაში ერთსულოვანი არიან სპათაგორელები. აუცილებელია გაიხსნას რომელიმე საწარმოს ფილიალი. ახალგაზრდობაც გაჩერდება სოფელში და დამატებითი შემოსავლის წყაროც ექნებათ. როგორც თავად აღნიშნეს, ეს საკითხი იმდენჯერ დაუსვამთ კოლმეურნეობის საერთო კრებებზე, სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებთან, პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელ მუშაკებთან, რომ ახლა განმეორებაც ეჩოთირებათ. ასეთივე ბედი წვევია სხვა პრობლემებსაც, რომლებიც კი ოდესმე დაუყენებიათ. არაფერი ეშველა, მაგალითად, ელექტროდენის მიწოდებაში წყვეტილობის აღმოფხვრას. შუა სოფელში დგას ერთი ქვესადგური, მაგრამ არ ყოფნის სოფელს, ნათურები ძლივს ბუუტავს. როგორც იქნა, მეორე ქვესადგური მოიტანეს, მაგრამ ვერ დაამონტაჟეს და ახლა უქმად დგას, „შიგანგამოცლილი და განიავებული". ჩვენც ვნახეთ გზის პირას ეს ქვესადგური. მტერსაც და მოყვარესაც, რომ ერთნაირად უვსებს თვალს.

ბევრი, ძალიან ბევრი პრობლემაა სოფელში. თუნდაც ის, რომ წისქვილი თურმე წყალმა წაართვათ, მედპუნქტი ლაცორიაში გადაუტანიათ, არა აქვთ აბანო, არ ვარგა სატელეფონო კავშირი, არც ტელევიზორის ჩვენებაა კარგი. 2 წელზე მეტია კინოფილმი არ უჩვენებიათ სოფელში. რადიო აქამდე მუშაობდა, გვითხრეს, ახლა სადგური დაიწვა და ისიც დადუმდაო. მოგეცა ლხენა, ამის გამო საქმე დატრიალდება—ჩვენი მუშაობის სისტემა, რომ ვიცით, სადგურის აღდგენას ყველაზე ნაკლები წელიწადი მაინც დასჭირდება.

წლების მანძილზე დაგროვდეს პრობლემები, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ისიც არ გაკეთდა დოულაპიობისა თუ ფული ულაპიობის მიზეზით. ასეც იქნება, სანამ ამ ჩვენს ვითომდა სახალხო ხელისუფლების სახელმწიფოში ხალხი ნამდვილად არ აიღებს ხელში ძალაუფლებას.

—შემდგომ როგორ, პირველი-ოქო ცხოვრობენ? ყველანაირ ტუუილ დაპირებებს, მეტი-ნაკლებ სპათაგორელებს, როგორც დაგვიწესებენ, ისეო—გვიპასუხეს. არადა დადგა დრო, ხალხმა თვითონ დააწესოს თავისი ცხოვრების პრინციპები, თვითონ მიხედოს საკუთარ თავს, რადგან სხვა არავინაა სოფლის პატრონი. მით უფრო, როცა ხედები, რომ აქამდე თურმე უკუღმა გვიცხოვრია:

ალბათ გლეხურ მეურნეობაზე ჯობია გადასვლა. რა ვიცი, ევროპის ქვეყნებში კოლექტივების გარეშე იოლად გადიან, ცხოვრებით კი ჩვენზე ნაკლებად (?) არ ცხოვრობენ. ჯობს მიწას ნამდვილი პატრონი გაუჩნდეს. რაც ეს იდეა გაჩნდა, უკვე იგრძნობა გამოცოცხლება გლეხობაში. ადრე მიტოვებული, გაქერანებული ვენახები გამობრუნდა—ეს სიპიტო სილაგაძის აზრია.

—ძველებურად რომ გაგრძელებულიყო, 5 წელიწადში საკოლმეურნეო ვენახები სულ გაქერანდებოდა,—სიტყვა ჩაურთო ორბელის სასოფლო საბჭოს მდივანმა არდევან ბახსოლიანმა, თან რომ გვახლდა ორივე სოფელში და აქტიურად მონაწილეობდა საუბარში. ბატონი არდევანი თავად დარწმუნებულია გლეხური მეურნეობის დიდ უპირატესობაში და უკვირს იმ ადამიანების, რომლებიც შეგნებულად აფრთხობენ გლეხებს.

ასე დავცილდით სპათაგორელებს. ჩვენ ისიც არ დაგვიმედებია, რომ მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს უახლოეს ხანაში გადაწყვეტდა კოლმეურნეობის, სოფლსაბჭოსა და რაიონის ხელმძღვანელობა, არ დავპირებივართ არაფერს, გარდა დახმარებისა იმ შემთხვევაში, თუ თვითონვე ეცდებიან სოფლის პატრონობას. სხვა სოფლების ჩსგავსად აქაც მოწონებით შეხვდნენ იდეას შეექმნათ სოფლის თვითმმართველობა, საკუთარი თავი თავად განეგოთ. ამ იდეის განხორციელება დღევანდელ პირობებში არც შეუძლებელია და არც გაუმართლებელი. დროა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.

ზაფხულ ი- 90

იგლისის პაპანაქებამ თავისი გაიტანა. აწრიალდნენ ნორჩები, ზაფხულის ალდადეგები მათთვის საინტერესო დასვენებისა და გართობის პერიოდად უნდა ვაქციოთ.

სოფლის მეურნეობისა და გადამშუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირები ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხას ხარჯავენ კავშირის წევრთა შვილებისა და შვილიშვილების გაჯანსაღებისა და დასვენებისათვის.

სურათებზე: ბანაკში, საზეიმო გახსნის ცერემონიალზე.

ლაჯანაში 100 ბავშვს ისვენებს



წელს სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ხაზით ბავშვთა და მოზარდთა გაჯანსაღებისა და დასვენების ბანაკი მოეწყო ლაჯანის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე 100 ბავშვისათვის. დარგის პროფკავშირის კომიტეტებმა დააზუსტეს დასვენების მსურველ ბავშვთა სიები. რაიონულმა საბჭომ დაამტკიცა ბანაკის ხელმძღვანელები, აღმზრდელები სკოლა-ინტერნატის მუშაკებისაგან, რომელთაც ბავშვებთან სადღეღამისო მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ბანაკი მუშაობას შეუდგა 1 ივლისიდან.

ბავშვთა ერთი ნაწილი წელს მეორედ ისვენებს ბანაკში, ახლები მალე შეეჩვივნენ საბანაკო ცხოვრებას. შეუდგნენ ბანაკის საზეიმოდ გახსნისათვის მზადებას.

ბანაკის საზეიმო გახსნისათვის საგულდაგულოდ იმუშავეს მუსიკის მასწავლებელმა მადონა ონიანმა, ფიზკულტურის ხელმძღვანელმა შმაგი ბურჯალიანმა. აღმზრდელებმა დინარა ურთმელიძემ, ასმათ ჩაჩხიანმა, აზა დავითულიანმა, პრაქტიკანტებმა ნატო ხეცურიანმა, ლალი ხვადაგიანმა, მამუკა ფრუიძემ, მთ საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ბანაკის დირექტორი კორნელი კოპალიანი.

და აი, დაინიშნა დღე—12 ივლისი, ბანაკის გახსნის დღე. ბანაკს ეწვივნენ მშობლები, სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული საბჭოსა და პირველადი

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ლაჯანაშᲘ 100 ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ

(დასასრული).

ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სტუმრები.

ნორჩებსა და სტუმრებს მიესალმა ნათია გურგუჩიანი, მანვე წაიკითხა ლექსი „საბა“. ბანაკის წევრებმა წარმოადგინეს სიმღერები, ცეკვები, სპორტული ვარჯიშები. საერთო მოწონება დაიმსახურა ბანაკის წევრის მარიკა ნანობაშვილის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, ცეკვებმა, სპორტულმა ნომრებმა.

ბანაკის წევრის მაია ყურაშვილის გამოსვლამ 9 აპრილს მომხდარ ტრაგედიაზე ცრემლი მოგვარა ყველას. მისი წინადადებით ბანაკის წევრებმა, სტუმრებმა წუთიერი დუმილით ფეხზე დგომით პატივი სცეს 9 აპრილს დაღუპულთ. შესრულებული იქნა „მამაო ჩვენო“. ტექსტს კითხულობდა გოდერძი სილაგაძე, ბანაკის ყველა წევრი იღებდა ცერემონიალში მონაწილეობას. ბანაკის გახსნის გვირგვინი იყო სიმღერა თავისუფლებაზე.

ბანაკში ტარდება სპორტული შეჯიბრებები და სწორედ ერთ სახეში, ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულებს ბანაკის გახსნის დასასრულს გადასცეს საპატიო სიგელები.

ბანაკის წევრებმა საღამოს კოცონი დაანთეს.

ბანაკში შექმნილია ნორმალური პირობები ნორჩების საზაფხულო ცხოვრების საინტერესოდ გატარების, დასვენება-გაჯანსაღებისათვის. დრო და დრო მდინარე ლაჯანურშიც გრილდებიან და სწავლობენ ცურვას. აბანოც გამართულად მუშაობს. იდეალური სისუფთავეა საძილე კორპუსებში, კვების ბლოკში. ბავშვებს ოთხჯერადი კვება აქვთ. სკოლა-ინტერნატის კეთილმოწყობილი სასადილო, რომელიც ემსახურება ბავშვებს, კარგად მარაგდება, გამოცდილი მზარეულები გემრიელ კერძებს ამზადებენ.

ბანაკის წევრებისათვის მოეწყო ექსკურსია ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმში, ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და სპათაგორში მარშალ არჩილ გელოვანის სახლ-მუზეუმში, კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიება აქვთ დაგეგმილი.

ვლ. ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ.

დიზელიანი მინი — ტრაქტორი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ მახლობლად, სოფელ წეროვანში, მანქანათსაშენებელ ქარხანაში ამუშავდა უჩვეულო სამამულო მინიტრაქტორი. ის პირველად აღიჭურვა სამამულო წარმოების პატარა დიზელით, რომელიც არ ჩამოუვარდება საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

ძრავა შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში.

—წყლისგამცივებლიანი ორცილინდრიანი დიზელი სულ 12 ცხენის ძალის სიმძლავრისაა, რაც სავსებით საკმარისია მინი-ტრაქტორის ნორმალური მუშაობისათვის,—უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მისმა შემქნელმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ირაკლი ეჯიბიამ.—ასეთი მოტორის სათბობის ხარჯი 2,5 ლიტრს არ აღემატება. დიზელის სერიული დამზადება შეიძლება ქვეყანაში და ჩვენს რესპუბლიკაშიც არსებული მოწყობილობის მეშვეობით, მაგალითად, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში ან საავტომობილო ქარხანაში უკრაინისა და რუსეთის მონათესავე საწარმოებთან კოოპერაციის საფუძველზე.

საინტერესოა, რომ ქართველ მეცნიერთა ნამუშევრების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას აგრეთვე მცირე მოძრავი ელექტროსადგურები სოფლის, მშენებელთა და ჰიდროტექნიკოსთა, გეოლოგებისა და პოლარელთა საჭიროებისათვის.

(საქინფორმი)

შორეულ საფლავს ჭირისუფალი გაუჩნდა

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 12 ივლისის ნომერში რუბრიკით „იქნებ ახლობელია?“ დაიბეჭდა წერილი „კიდევ ერთი საძმო საფლავი“, რითაც შევასრულეთ უკრაინელი კვალმაძიებლის ლეონიდ იგნატენკოს თხოვნა მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ. მკითხველს ემახსოვრება, რომ წერილში საუბარი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინაში დაღუპულ 3 ჩვენს თანამემამულეზე, გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ერთ-ერთი მათგანი, რომლის გვარიც დამახინჯებულია, ლაჯანელი ვარლამ თედორეს ძე გიორგობიანი უნდა ყოფილიყო. და აი, 16 ივლისს რედაქციაში მოვიდა ახალგაზრდა პედაგოგი მედიკო დავითის ასული ლოლელიანი-კვირკაშვილი, რომელმაც თავი ვარლამ გიორგობიანის ახლობლად წარმოგვიდგინა.

ვარლამ გიორგობიანი მამაჩემის ბიძაშვილი იყო, — გვითხრა ქალბატონმა მედიკომ, —იგი 1925 წელსაა დაბადებული და 18 წლისაც არ ყოფილა, როცა ფრონტზე გაიწვიეს. ოჯახს მისი არც წერილი მიუღია და არც არავითარი ცნობა, დღემდე არ ვიცოდით, როგორ წარიმართა მისი ბედი. ყველაფრიდან ჩანს, რომ იმ წერილში ბიძაჩემზეა ლაპარაკი.

ვარლამის მშობლები ლაჯანაში ცხოვრობდნენ, ქალ-ვაჟი ჰყავდათ. მისი და ივდითი დღესაც ცოცხალია.—რაც ეს გაზეთი წავიკითხეთ, მამიდაჩემი სულ გამოიცვალა. ჩაკეტილია ოთახში, ხორცსაც არ ჭამს, თითქოს ახლახან გარდაეცვალოდეს ძმა, ცრემლი მოერია ქალბატონ მედიკოს,—ვინ იცის, იქნებ ცოცხალი ეგულებოდა დღემდე.

მედიკო ლოლელიანმა გვიამბო ყველაფერი, რაც იცოდა ბიძის, მისი ოჯახისა და ნათესავების შესახებ, ისიც გვითხრა, როგორ გაახარა მთელი სოფელი ცნობამ უგზოუკვლოდ დაკარგული თანასოფლელის საფლავის ადგილსამყოფელის დადგენის შესახებ, ქართველ[illegible] საფლავის დაკარგვა ხომ მის მეორეჯერ [illegible].

—მინდა წერილი მივწერო ამ ღვთისნიერ კაცს, მერე კი ჩემი ძმები ჩავლენ საფლავის მოსანახულებლად. მანამდე საირმეში და ლუში უნდა ავირბინოთ, მამიდაჩემმა გაიხსენა, რომ ვალიკოსთან (ასე ეძახდნენ ვარლამ გიორგობიანს შინაურები) ერთად ღუღლი მიქაძე წავიდა ფრონტზე, ერთად გაემგზავრნენ ბიჭები, გვაინტერესებს მათი ვინაობის დადგენა—ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ქალბატონი მედიკო.

თხოვნით მოგმართავთ ყველას: იქნებ იცნობდით ლ. იგნატენკოს მიერ მიკვლეულ პიროვნებებს, მოგვწერეთ, გვიამბეთ მათ შესახებ. ამით პატივს მიაგებთ გმირულად დაცემული თანამემამულეების ხსოვნას, „ქაბუკები რომ დარჩნენ მარად“.

ᲘᲐ ᲮᲛᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲝᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ. აუქციონით დამთავრდა სახელგანთქმული ორენბურგული თავსაფრების პირველი გამოფენა, რომელიც მოაწყო ორენბურგის კულტურის სამმართველოს საოლქო ალმასკომმა და სახვითი ხელოვნების მუზეუმმა.

ასეთი ნაბიჯი ორენბურგელებმა იმიტომ გადადგეს, რომ ისინი შეშფოთებული არიან ბუმბულის ქსოვის ხელობის ბედით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: აუქციონზე. საკდ-ესის ფოტოქრონიკა.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲚᲐᲓᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲝ!

ᲘᲐᲛᲖᲔ ᲓᲔᲛᲣᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲯᲐᲜᲐᲫᲔᲡ
ᲔᲛᲖᲐᲠ ᲔᲜᲣᲥᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲡ

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარულის ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი კერა საქართველოს სასიხარულოდ.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის №2 ბრიგადის თანამშრომლები

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ

ᲒᲣᲚᲜᲐᲖᲘ ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔᲡ
ᲒᲘᲕᲘ ᲩᲐᲩᲮᲘᲐᲜᲡ

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. კვლავაც მრავალი სიხარული ენახოს თქვენს ოჯახს.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის №2 ბრიგადის თანამშრომლები.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲙᲣᲙᲣᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲮᲕᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜᲡ
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲘᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო მამულიშვილი.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის №2 ბრიგადის თანამშრომლები.

ᲜᲐᲜᲘ ᲒᲠᲘᲨᲐᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲛᲣᲠᲪᲮᲕᲐᲚᲐᲫᲔᲡ
ᲯᲝᲠᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔᲡ

გილოცავთ შვილის ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ნუ მოკლებოდეთ, შვილთა სიმრავლე დაბედებოდეთ.

ვერა, გრიშა, გურგენ, ზურაბ, ბესიკ, როზა, სვეტა მურცხვალაძეები, ჯულიეტა, ნუგზარ კორკოტაშვილები.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ Მ. ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ.

მეუღლე ქენია, შვილები ბათალბი, გუძბა, ყამარი, სოზარი, აკაკი, რძლები ცაცა, ლია, ციური, თამარი, სიძე ვაჟა სანოძე, შვილიშვილები ქეთევანი, ვასილი, ნინო, რიტა, ნატო, ალუდა, ზურაბი, თამარი, ანდრო, ალექსანდრე, ევა, ეკა, არსენა, ძმისშვილები რუსუდანი, როსტომი, თემური, მანიჟა, დისშვილები ბიკენტი, ზაური, ვიტალი ბობოხიძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ვასილ ლავრენტის ძე სალინაძე.** დაკრძალვა 26 ივლისს, ხუთშაბათს, სოფ. ჰალისთავში.

სამშენ მასალების სამეურნეობათაშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსუდან ახვლედიანს ძმის **რეზო დავითის ძე ახვლედიანის** გარდაცვალების გამო.

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა მუშკუდიანს დეიდის **თამარ კოპალიანის** გარდაცვალების გამო.

ძმები გიორგი, ალიოშა, ძმისშვილები ჯამბუ, ჯანსულ, ცაცა, ვენერა, ბესიკი, ნონა, როლანდი, რონ, მარინე, მარლენ, შორენა ლიპარტელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ლიდა ივანეს ასული ლიპარტელიანი-მუშკუდიანი** დაკრძალვა 22 ივლისს, კვირას, სოფ. ლასურიაში.

მეუღლე გულნაზი, შვილები დათო, ნანა, და რუსუდანი, დისშვილი თინიკო, სიძე მერაბ საგანელიძე, სიდედრი ქსენია თევდორაძე, მამიდა პასიკო, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **რევაზ დავითის ძე ახვლედიანი.** დაკრძალვა 26 ივლისს, ხუთშაბათს 3 სთ-ზე ქ. ქუთაისში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 სთ-დან. რუსთაველის ქ. №63.

შვილები ნანული, დაშა მეშველიანები, სიძეები ჭიჭიკო ჩარკვიანი, ვალოდია გასვიანი, შვილიშვილები ნონა, ნატო, სერგო, ჩარკვიანები, მაყვალა, ციცო, იროდი, მალვინა გასვიანები, დები კატო, ნინა ჯიაძეები, მულები აგრაფინა, იაჩკა მეშველიანები, დისშვილები, ბიძაშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ანიჩკა ონისიმეს ასული ჯიაძე-მეშველიანი.** დაკრძალვა 24 ივლისს, სამშაბათს, სოფ. წიფერჩში.

ალპანის დარგობრივი გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოგია ალავიძეს მამის **გივი ალავიძის** გარდაცვალების გამო.

ალპანის დარგობრივი გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბეჟან ასათიანს დედის **გოგუცა განძელაძის** გარდაცვალების გამო.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-8[illegible]
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-86, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66589, ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ 97 ტირაჟი 4[illegible]
საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა,